

დამატებითი შეთანხმება

წინამდებარე დამატებითი შეთანხმება (შემდგომში „შეთანხმება“) გაფორმებულია 2018 წლის [*] შემდეგ მხარეებს შორის:

- (i) „კავკასუს ონლაინ“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი კომპანია საიდენტიფიკაციო ნომრით 211380833, იურიდიული მისამართი საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, წინამძღვრიშვილის ქ. #160 (შემდგომში „ადმინისტრატორი“);
- (ii) [იურიდიული პირის სახელი], [საიდენტიფიკაციო ნომერი], [იურიდიული მისამართი] (შემდგომში „რეგისტრატორი“).

რეგისტრატორი და ადმინისტრატორი ერთობლივად მოხსენებული, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც „მხარე“.

ვინაიდან, 2018 წლის [*] მხარეებს შორის გაფორმდა „რეგისტრატორის ხელშეკრულება“ (შემდგომში „რეგისტრატორის ხელშეკრულება“);

ვინაიდან, მხარეების სურვილია განახორციელონ .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენში, მათ შორის, ორ სიმბოლოიანი ტიპის დომენური სახელის პოპულარიზაცია;

ვინაიდან, ასეთი პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით მხარეებს სურთ წინამდებარე შეთანხმებით დამატებით განსაზღვრონ ორ სიმბოლოიანი ტიპის დომენური სახელების სპეციალური ტარიფი, რომელიც იმოქმედებს რეგისტრატორის ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან ერთი კალენდარული წლის განმავლობაში იმ პირობებით, როგორც ეს მოცემულია ამ შეთანხმებაში.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. რეგისტრატორის ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში, რეგისტრატორის მიერ ჯამურად, არაუმეტეს 5 (ხუთი) ორ სიმბოლოიანი ტიპის დომენური სახელის 1 წლით რეგისტრაციისთვის გადასახდელი საფასური თითოეული ასეთი დომენური სახელისთვის არის 50 (ორმოცდაათი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
2. გადახდის წესი რჩება უცვლელი, როგორც ეს მოცემულია რეგისტრატორის ხელშეკრულების #3 დანართში.

3. ყოველგავრი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ **შეთანხმების** პირველ პუნქტში მითითებული **დომენური სახელების** რეგისტრაციის განახლების შემთხვევაში, **რეგისტრატორი** ვალდებულია გადაუხადოს **ადმინისტრატორს** რეგისტრაციის განახლების საფასური **რეგისტრატორის ხელშეკრულების #3** დანართში მოცემული ტარიფის შესაბამისად, რაც შეადგენს 800 (რვაასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
4. წინამდებარე **შეთანხმებაში** გამოყენებულ ტერმინებს, რომლებიც მოცემულია მსხვილი შრიფტით და არ არის განმარტებული ამ **შეთანხმებით** განიმარტება **რეგისტრატორის ხელშეკრულებით**.
5. **შეთანხმება** ძალაში შედის **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების ძალაში შესვლის თარიღზე** და მოქმედებს **რეგისტრატორის ხელშეკრულების** მოქმედების ვადით.
6. წინამდებარე **შეთანხმება** წარმოადგენს **რეგისტრატორის ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს.
7. **შეთანხმება** შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მხარეთა ხელმოწერები:

რეგისტრატორის სახელით

ადმინისტრატორის სახელით
